თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 25 ნოემბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 17

ქ. თერჯოლა 25 ნოემბერი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. ომარ ჯიხვაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, 20. ელისო მურადაშვილი, 21. იუზა უგრეხელიძე, 22. გრიგოლ გიორგაძე, 23. მამული კოვზირიძე, 24. გიორგი ყაზაიშვილი, 25. გიორგი ბრეგაძე, 26. გიორგი ქასრაშვილი, 27. რამაზი ლორთქიფანიძე, 28. მირზა აფრიდონიძე, 29. მანუჩარ ფანჩულიძე, 30. გიორგი ბერეკაშვილი, 31. ვლადიმერ მაკარიძე, 32. ნოდარი ხოხიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2. გიორგი თურქაძე, 3. შალვა ჭანკვეტაძე.
საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 32 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁵⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის, 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართისა და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282530260, 29.10.2025 წ.);

მომხს.: ა.ურიადმყოფელი

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2825321100, 17.11..2025წ.).

/მომხს.: ზ.ჩხიკვაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - რეგლამენტის მე-18 მუხლს დაემატება შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი:

„3[1]. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ახორციელებენ საკრებულოს კომისიების მუშაობის კოორდინაციას საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სფეროების მიხედვით.
ასევე ასრულებენ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიცემულ დავალებებს.''

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-32, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 22,21.11.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.
დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობა:
1) სოსო ჩაფიჩაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
2) დავით გოგბერაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
3) სერგი ჯიხვაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრი;
4) ჯემალ ისაკაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრი;
5) ნინო ოქრუაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
6) ბიძინა ბუცხრიკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
7) ბადრი ბუცხრიკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
8) ერეკლე კირკიტაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;
9) გიორგი თურქაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

10) გოჩა ვერულაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება'' თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
11) დიანა ფოცხვერაშვილი-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,საბჭოს წევრი;
12) ნინო დოლაკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტი - ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირი,საბჭოს მდივანი;
13) მაია თორთლაძე - ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის'' დირექტორი, საბჭოს წევრი;
14) ქეთევან შეყრილაძე - თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
15) ნათია სახეჩიძე - მერიის იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
16) ფიქრია ბუსკივაძე - საკრებულოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, საბჭოს წევრი;
17) მაკა ასათიანი- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
18) ეკა ბერძენიშვილი- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;
19) ანა მარგველაშვილი-საკრებულოს აპარატის უფროსი, საბჭოს წევრი;
20) ნატო კვეტენაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;
21) ნინო ხუჯაძე - მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში, საბჭოს წევრი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №29-29253294, 26/11/2025 წ.)

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსხაურის უფროსმა, ავთანდილ ურიადმყოფელმა, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართისა და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.
2016 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 23300.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 20577.0 ათასი ლარით, გრანტები - 300.0

ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 2123.0 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 300.0 ათასი ლარის ოდენობით.
პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:
ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1410.0 ათასი ლარი;
დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3800.0 ათასი ლარით;
განათლება - 7375.0 ათასი ლარი;
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3267.0 ათასი ლარი;
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1800.0 ათასი ლარი;
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია - 5648.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1200.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4267.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 40.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 30.0 ათასი ლარი.
- ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები:

1. გაზრდილი იქნას ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ნაწილში - ჯარიმები, სანქციები და საურავები - 100 000 ლარით.
2. გაზრდილი იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები 50 000 ლარით.
3. სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდოს 50 000 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მერისათვის დაბრუნება.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: საკრებულოს სხდომისა და კომისიის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონდმებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულომ გადაწყვიტა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს დაუბრუნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს 37045.3 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 37045.3 ატასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, გზებისა და ხიდების, მიმდინარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტუქციისა და მოვლა შენახვის ასიგნება გაიზარდოს 400.0 ათასი ალრით და განისაზღვროს 8889.3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე